

“რეგისტრირებულია“
ქ. თბილისის (ისანი-სამგორის)
საგადასახადო ინსპექციის მიერ
2005 წლის ----- დეკემბერს
რეგისტრაციის N -----

სააქციო საზოგადოება

“თამ“ (თბილავიამშენი)



წ ე ს დ ე ბ ა

(ახალი რედაქცია)

თბილისი

22 დეკემბერი 2005 წელი

მუხლი 1. სახელი და საქმიანობის რეგისტრირებული ადგილი

1.1. სახელი. საზოგადოების საფირმო სახელწოდებაა:

**სააქციო საზოგადოება “თამ“ (თბილავიამშენი);
In English – JSC TAM (Tbilisi Aircraft Manufacturing);
Gj Нещрбq _ FJ NFV (Тбилиавиамшени).**

1.2. საქმიანობის ადგილი. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, 0136, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა №181.

მუხლი 2. საზოგადოების საქმიანობის საგანი

2.1. საზოგადოების მიზანი. საზოგადოების ძირითადი მიზანია მოგების მიღება საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სამეურნეო და სხვა საქმიანობის საფუძველზე.

2.2. საქმიანობის საგანი. საზოგადოების საქმიანობის საგნებია:

- სამხედრო და სამოქალაქო საავიაციო ტექნიკის დაპროექტება, დამზადება, გამოცდა, მოდერნიზაცია, რემონტი, ექსპლუატაცია, შესყიდვა, რეალიზაცია, სერვისული მომსახურება, ექსპორტ-იმპორტი;
- სპეცპროდუქციის, საწარმო-ტექნიკური დანიშნულების და სამოქალაქო პროდუქციის დაპროექტება, წარმოება, რემონტი, გამოცდა, მოდერნიზაცია, შესყიდვა, რეალიზაცია, ექსპორტ-იმპორტი;
- სამშენებლო-სამონტაჟო, სარემონტო სამუშაოების წარმოება;
- საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო ტრანსპორტის გაქირავება და დაქირავება;
- წარმოების საშუალებების ლიზინგი, მათ შორის საზღვარგარეთელი პარტნიორების მონაწილეობით;
- საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების განხორციელება;
- საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ყველა სახის და ფორმის განხორციელება საზოგადოების საწესდებო მიზნების რეალიზაციისათვის;
- სამოქალაქო საჰაერო გადაყვანების და სატვირთო გადაზიდვების წარმოება და მომსახურება;
- საშუამავლო საქმიანობის განხორციელება;
- სასწავლო პროგრამების წარმართვა;

2.3. მოგების მიღების მიზნით პირდაპირ თუ არაპირდაპირ წარმოებული ნებისმიერი სხვა სახის საქმიანობა, რაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

მუხლი 3. არსებობის ვადა

საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 4. საწესდებო კაპიტალი და საზოგადოების ფასიანი ქაღალდები

4.1. ოდენობა. სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 69 705 818 (სამოცდაცხრა მილიონ შვიდასხუთი ათას რვაასთვრამეტი) ლარს. საწესდებო კაპიტალი დაყოფილია 69 705 818 ჩვეულებრივ სახელობით აქციებად, რომელთა ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი. თითოეული აქციის გადაცემა მფლობელის მიერ ხდება თავისუფლად.

4.2. საწესდებო კაპიტალის გაზრდა. დირექტორატს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით უფლება აქვს მომავალი ხუთი სამეურნეო წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალი მთლიანად ან ნაწილობრივ გაზარდონ გადაწყვეტილებაში მითითებულ თანხამდე ახალი აქციების გამოცემის გზით.

გადაწყვეტილებაში განსაზღვრული უნდა იყოს გამოშვების მიზნები, პირობები (ფასის ჩათვლით) და პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოხდება გამოშვება. აღნიშნული პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით, სააქციო საზოგადოებას შეუძლია კანონით დადგენილი წესით გამოუშვას აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები.

4.3. შენატანი აქციების სანაცვლოდ. აქციების საფასურის გადახდა შეიძლება მოხდეს ნაღდი ფულით, ასევე სხვა ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტების მეშვეობით, რომლებიც უნდა შეაფასოს დამოუკიდებელმა აუდიტორმა.

4.4. საზოგადოების ფასიანი ქაღალდები. საზოგადოება გაცემს ჩვეულებრივ აქციებს მხოლოდ სახელობითი ფორმით. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე. ერთი კლასის აქციათა მფლობელებს თანასწორი უფლებები აქვთ.

საზოგადოებას უფლება აქვს გამოუშვას პრივილეგირებული აქციები. პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით, რომლის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება სათანადო ემისიის პროსპექტით.

სააქციო საზოგადოებას შეუძლია კანონით დადგენილი წესით გამოუშვას კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები.

მუხლი 5. აქციონერთა უფლებები და მოვალეობები

5.1. ჩვეულებრივი სახელობითი აქციები. თითოეული ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს თანაბარ უფლებებს ანიჭებს. თითოეული ჩვეულებრივი აქცია მფლობელს ანიჭებს ერთ ხმას აქციონერთა საერთო კრებაზე, უფლებას მიიღოს დივიდენდები, ხოლო საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღოს საზოგადოების ქონების წილი იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ამ აქციონერის საკუთრებაში არსებულ წილს საზოგადოების საწესდებო კაპიტალში.

5.2. პრივილეგირებული აქციები. თითოეული პრივილეგირებული აქცია მის მფლობელს თანაბარ უფლებებს ანიჭებს. პრივილეგირებული აქციების მფლობელებს ხმის მიცემის უფლება საერთო კრებაზე აქვთ იმ შემთხვევაში, თუ აქციაზე დივიდენდი არ გაცემულა, ან მხოლოდ ნაწილობრივ გაიცა. ასეთ შემთხვევაში მათზე მთლიანად ვრცელდება მოთხოვნები აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების თაობაზე. პრივილეგირებული აქციების მფლობელებს აქვთ საერთო კრებაზე დასწრებისა და საზოგადოების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება.

5.3. პრივილეგიებულ აქციონერთა უფლებები. პრივილეგიებული აქციების მფლობელს ჩვეულებრივი აქციების მფლობელებთან შედარებით აქვთ დივიდენდებისა და ლიკვიდირებული საზოგადოების ქონების მიღების უპირატესი უფლება. თუ დივიდენდი არ იქნა გაცემული, ან მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გაცემული ზედიზედ ორი წლის განმავლობაში, მაშინ პრივილეგიებული აქციის მფლობელებს მიენიჭებათ აქციონერთა მომდევნო საერთო კრებაზე ხმის უფლება.

5.4. აქციათა გასხვისება. ყოველ აქციონერს უფლება აქვს თავისუფლად გაასხვისოს აქცია.

5.5. აქციონერს არა აქვს უფლება. აქციონერს არა აქვს უფლება ხმა მისცეს იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება ეხება მასთან, მისი ოჯახის წევრთან, ან მასთან დაკავშირებული იურიდიულ პირთან (რომელშიც მას ან მისი ოჯახის რომელიმე წევრს ეკუთვნის წილის 20%-ზე მეტი) გარიგების დადებას ან მისი ანგარიშის დამტკიცებას.

5.6. ინფორმაციის მოთხოვნა. თითოეულ აქციონერს უფლება აქვს საზოგადოების იურიდიულ მისამართზე მოთხოვნის შემთხვევაში გაეცნოს საზოგადოების წლიურ, ნახევარწლიურ და მიმდინარე ანგარიშებს.

5.7. რეგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნა. საწესდებო კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელ აქციონერებს საწარმოს ინტერესების შესაბამისად და მკაფიოდ განსაზღვრული მიზეზით უფლება აქვთ მოითხოვონ რეგარეშე კრების ჩატარება. ღირექტორატი ვალდებულია წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში დაადგინოს კრების ჩატარების თარიღი, ან აქციონერთა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე განაცხადოს დასაბუთებული უარი. უარის შემთხვევაში აქციონერი მიმართავს სასამართლოს კრების ჩატარების მოთხოვნით კონკრეტული თარიღის მითითებით.

5.8. ბალანსის შემოწმება. საწესდებო კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი ჰქონდა დარღვევებს.

5.9. განმარტება დღის წესრიგთან დაკავშირებით. აქციონერს უფლება აქვს მოსთხოვოს განმარტება ღირექტორებს ან სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო და მოითხოვოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რაც გონივრულად აუცილებელია ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად. თუ მოთხოვნა განმარტების შესახებ წერილობით იქნა დაყენებული საერთო კრებამდე ათი დღით ადრე, ის უნდა შესრულდეს ან განხილულ იქნას ერთ-ერთ საკითხად.

5.10. აქციონერთა სხვა უფლებით. აქციონერები ასევე სარგებლობენ ყველა სხვა უფლებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 6. აქციების შეძენის უპირატესი უფლება და შეზღუდვა აქციების გამოშვებისას

6.1. აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება. საწესდებო კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში აქციების გამოშვებისას აქციონერებს აქვთ აღნიშნული აქციების უპირატესი შეძენის უფლება, მათ საკუთრებაში არსებულ აქციათა ნომინალური ღირებულების პროპორციულად.

6.2. შეტყობინება გამოშვების შესახებ. კომპანია თითოეულ აქციონერს არანაკლებ 30 დღით ადრე (იმ შემთხვევაში თუ აქციონერი ფლობს ერთ და მეტ პროცენტს) წერილობით ატყობინებს აქციების ნებისმიერი სავარაუდო გამოშვების შესახებ და შეტყობინების მიღებიდან სულ ცოტა 20 დღის განმავლობაში აქციონერებს უფლება აქვთ, შეისყიდონ შეთავაზებული აქციები.

6.4. აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების შეზღუდვა. აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს ან გაუქმდეს საერთო კრების გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალის მომატების დროს.

მუხლი 7. დირექტორატი (დირექტორთა საბჭო)

7.1. მიზანი და წევრთა რაოდენობა. დირექტორთა საბჭო არის საზოგადოების უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. კომპანიას მართავს დირექტორთა საბჭო (სამეთვალყურეო საბჭოს ზედამხედველობის ქვეშ). დირექტორთა საბჭოს წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის საქმიანობის ყოველდღიურ მართვაზე.

7.2. დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და მოადგილე. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს – გენერალურ დირექტორს და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს – აღმასრულებელ დირექტორს, აგრეთვე დირექტორთა საბჭოს წევრებს.

7.3. დანიშვნა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული კომპენსაცია. დირექტორატის წევრებს ნიშნავს და ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო. ხელფასს და დირექტორატის წევრების მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა პირობებს განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო.

7.4. დირექტორატის საქმიანობა. სამეთვალყურეო საბჭო დირექტორატისთვის ადგენს შიდა პროცედურის წესებს. დირექტორატის მიერ გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ხმა არის გადაწყვეტი. დირექტორატის წევრებს მოვალეობებს უნაწილებს სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორატის სხდომები შეიძლება ჩატარდეს სატელეფონო კონფერენციის სახით ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა აუდიო-ვიზუალური საშუალების გამოყენებით, მათ შორის ვიდეო კონფერენციის გზით, მნიშვნელოვანია, რომ სხდომაში მონაწილე წევრებს ერთ-დროულად შეეძლოთ ერთმანეთის მოსმენა.

7.5. სასამსახურო კონტრაქტების გაფორმება. ურთიერთობა დირექტორატის წევრებსა და საზოგადოებას შორის ფორმდება სასამსახურე კონტრაქტით, რომელსაც კომპანიის სახელით ხელს აწერს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (კომპანიის პრეზიდენტი).

7.6. კომპეტენცია. დირექტორატის უფლებამოსილებაში შედის ყველა იმ საკითხის გადაწყვეტა, რაც კანონმდებლობითა და წესდებით არ განეკუთვნება აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას და რეგულირდება დებულებით „დირექტორთა საბჭოს შესახებ“. დირექტორატი განიხილავს და იღებს წინასწარ გადაწყვეტილებას ყველა იმ საკითხზე, რომელზეც კანონმდებლობისა და წესდების თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობაა საჭირო;

7.7. წარმოდგენლობა. დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და მოადგილე უძღვებიან საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობას, კონტროლს უწევენ სხვა დირექტორებს, მინდობილობის გარეშე წესდებითა და კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში შეუზღუდავად წარმოდგენენ საზოგადოებას მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში; გასცემენ წერილობით მინდობილობებს სხვა პირებზე საზოგადოების წარმოდგენის მიზნით;

7.8. შიდა სტრუქტურების მართვა. დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე ხელმძღვანელობენ წესდებისა და საზოგადოების შიდა წესების თანახმად მათ დაქვემდებარებაში შემავალ სამსახურებს და მათ საქმიანობას, წარმოდგენენ საზოგადოებას ამ სფეროში მესამე პირებთან ურთიერთობაში;

7.9. კომპანიის წარმოდგენა. მესამე პირებთან ურთიერთობაში საზოგადოების წარმოდგენის უფლება აქვთ მხოლოდ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს და მოადგილეს, რომლებიც რეგისტრირებული არიან ასეთებად სამეწარმეო რეესტრში და დატოვებული აქვთ ხელმოწერის ნიმუში;

7.10. დირექტორების მიერ სხვა სამუშაოს შეუთავსებლობა. საზოგადოება არის დირექტორების ძირითადი დასაქმების ადგილი. მათ არა აქვს უფლება შეითავსონ სხვა სრულგანაკვეთიანი სამუშაო;

7.11. დირექტორები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- მენეჯერის უნარ-ჩვევები და გამოცდილება წარმოების მართვის (ბიზნესის) სფეროში;
- შესაბამისი უმაღლესი განათლება წარმოების ორგანიზების, მენეჯმენტის, კორპორაციული სამართლის ან/და ტრენინგები აღნიშნულ სფეროებში;
- წარმატებული კომპანიაში მუშაობის, სულ ცოტა ხუთი წლის მუშაობის გამოცდილება მენეჯერის თანამდებობაზე;
- სპეციალური გამოცდილება ფინანსურ, ეკონომიკურ ან იურიდიულ სფეროებში;

- დირექტორატში მუშაობის გამოცდილება ფინანსებისა და ადმინისტრირების დარგში;

7.12. დირექტორატი იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების სახელით მესამე პირთა წინააღმდეგ სარჩელის შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ;

7.13. დირექტორატი ადგენს წლიურ ანგარიშგებას, საქმიანობის ანგარიშს და საინვენტარიზაციო აღწერილობას, ასევე წმინდა მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოზე წარსადგენად;

7.14. დირექტორატის თითოეული წევრი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია;

7.15. დირექტორატის სხდომები ტარდება საჭიროებისდა მიხედვით, მაგრამ არანაკლებ თვეში ორი სხდომისა. სხდომა იწვევა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის, ასევე დირექტორატის რომელიმე წევრის ინიციატივით;

7.16. დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე ადგენენ სხდომის დღის წესრიგს, ამზადებენ საჭირო მასალებს. სხდომებს თავმჯდომარეობს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე. დირექტორატის წევრებს უფლება აქვთ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარესთან დააყენონ წინადადება დღის წესრიგში საკითხის შეტანის თაობაზე;

7.17. დირექტორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავენ ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირები და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისთვის.

7.18. თავის მოვალეობათა შესრულებისას დირექტორები შეიძლება დაეყრდნონ დასკვნებსა და ანგარიშებს, თუ ისინი მომზადებულია იმ აუდიტორის, იურიდიული მრჩევლის, საწარმოს თანამშრომლის ან სხვა პირის მიერ, რომელიც, დირექტორების კეთილგონივრული მოსაზრებით, პროფესიონალია შესაბამის საკითხში, რადგან ეს საკითხი მის კომპეტენციას განეკუთვნება. დირექტორების მოქმედება არ ჩაითვლება კეთილსინდისიერად, თუ მას ამ საკითხთან დაკავშირებით აქვს, ან ევალუბოდა, რომ ჰქონოდა ისეთი ინფორმაცია, რომელიც გაუმართლებელს ხდის აღნიშნულ პირებზე დაყრდნობას.

7.19. დირექტორთა საბჭოს არა აქვს უფლება სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

- საწარმოებში წილის შეძენა და გასხვისება;
- უძრავი ქონებისა და მისი მსგავსი უფლებების შეძენა, გასხვისება, დატვირთვა ან იჯარით გაცემა, აგრეთვე წარმოების იჯარით გაცემა ან მისი საქმიანობის შეწყვეტა;
- ფილიალების და შვილობილი საწარმოების შექმნა და ლიკვიდაცია;

- წლიური ბიუჯეტის, საგეგმო ბალანსისა და მოგება-ზარალის გეგმის, ინვესტიციების გეგმის დამტკიცება;
- ინვესტიციების დაბანდება ან ამოღება;
- სესხებისა და კრედიტების აღება, რომელთა ოდენობა აღემატება ერთ მილიონ ლარს;
- გარიგებების დადება, რომელთა ღირებულება აღემატება სამ მილიონ ლარს (გარიგება შეთანხმებული უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოსთან);
- სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას;
- ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან საქმიანობის არსებული სახის შეწყვეტა;
- გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ;
- ნებადართული კაპიტალის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებულ თანხამდე საზოგადოების კაპიტალის გაზრდა;
- ობლიგაციების გამოშვება;
- კანონით სამეთვალყურეო საბჭოზე დაკისრებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.

7.20. დირექტორები ვალდებული არიან:

- რეგულარულად დაესწრონ დირექტორატის სხდომებს და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკითხების განხილვაში;
- მოითხოვონ დღის წესრიგში საკითხის შეტანა და დირექტორატის სხდომის მოწვევა, როდესაც ეს აუცილებლობას წარმოადგენს;
- არ გაამჟღავნონ კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მათ მიიღეს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას;
- არ გამოიყენონ პირადი სარგებლის მისაღებად საზოგადოების ქონება და თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას მოპოვებული ინფორმაცია;
- თავი შეიკავონ ისეთ გარიგებებში მონაწილეობისგან, რასაც შეიძლება მოჰყვეს მათი ინტერესების წინააღმდეგობაში მოსვლა საზოგადოების ინტერესებთან (ინტერესთა შეუთავსებლობა);
- ინტერესთა შეუთავსებლობის ნებისმიერი შემთხვევისას განუცხადონ დირექტორატსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ამის შესახებ და თავი შეიკავონ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დროს ხმის მიცემისაგან;

მუხლი 8. სამეთვალყურეო საბჭო

8.1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა. სამეთვალყურეო საბჭო შედგება ოთხი წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭო წევრებიდან ირჩევს თავმჯდომარეს (კომპანიის პრეზიდენტი) და თავმჯდომარის მოადგილეს.

8.2. სამეთვალყურეო საბჭოს როლი. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია დირექტორატის და კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოების ზოგადი საქმიანობის ზედამხედველობაზე. სამეთვალყურეო საბჭო ასევე რჩევებს აწვდის დირექტო-

რატს. მოვალეობების განხორციელებისას სამეთვალყურეო საბჭოს წევრები უნდა ხელმძღვანელობდნენ კომპანიის ინტერესებით. დირექტორატმა დროულად უნდა მიაწოდოს სამეთვალყურეო საბჭოს მისი მოვალეობების შესასრულებლად საჭირო ინფორმაცია.

8.3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა ხდება აქციონერთა საერთო კრებაზე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა უნდა მოხდეს სამეთვალყურეო საბჭოს ან ნებისმიერი აქციონერის მიერ ნომინირების შემდეგ. აღნიშნული ნომინაცია უნდა შედიოდეს საერთო კრების მოწვევის შესახებ გაგზავნილ შეტყობინებაში, რომელშიც შემოთავაზებულ უნდა იქნეს კანდიდატის დანიშვნა. აქციონერთა საერთო კრებისადმი სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატის შესახებ წარდგენილი ნომინაცია ან რეკომენდაცია უნდა შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, როგორცაა: (ა) კანდიდატის ასაკი, (ბ) მისი პროფესია, (გ) მფლობელობაში არსებული კომპანიის აქციების რაოდენობა და ტიპი, (დ) ნებისმიერი ბრალდება ნებისმიერ დანაშაულში, რაც მოიცავს მოტყუებას, თაღლითობას, ან მოვალეობების შეუსრულებლობას, (ე) თანამდებობების ჩამონათვალი, რომელიც კანდიდატს ეკავა გასული ხუთი წლის განმავლობაში (ნებისმიერი სამეთვალყურეო ან დირექტორთა საბჭოს წევრობის ჩათვლით) და (ვ) ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატის შესაფასებლად. რეკომენდაცია ან ნომინაცია დანიშვნის ან ხელახალი დანიშვნის შესახებ უნდა შეიცავდეს დასაბუთებას.

8.4. ვადა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არჩეულ უნდა იქნან არაუმეტეს 4 წლიანი ვადით. თუმცა მათი უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე. მათი ხელმეორედ არჩევა არის შეუზღუდავი. სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრი, რომელიც ინიშნება შუალედური ვაკანსიის შესავსებად გააგრძელებს მუშაობას მისი წინამორბედის დარჩენილი ვადის განმავლობაში. სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრი შეიძლება გათავისუფლდეს, ან სამეთვალყურეო საბჭო დათხოვნილ იქნას მთლიანად, მიზეზით ან უმიზეზოდ, საერთო კრებაზე აქციათა უმრავლესობის მფლობელთა მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება თანამდებობიდან გადადგეს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საშუალებით ოთხი კვირით ადრე. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ან (თავმჯდომარის გადადგომის შემთხვევაში) თავმჯდომარის მოადგილემ შეიძლება თანხმობა განაცხადოს შეტყობინების უფრო მოკლე ვადაზე.

8.5. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები. ქეორუმი.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა ტარდება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოს ორი წევრის ან დირექტორატის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში. სამეთვალყურეო საბჭოს დღის წესრიგს განსაზღვრავს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას – მოადგილე. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. ეს სხდომები შეიძლება ჩატარდეს სატელეფონო კონფერენციის სახით, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა აუდიო-ვიზუალური საშუალების გამოყენებით, მათ შორის ვიდეო კონფერენციის გზით, მნიშვნელოვანია რომ სხდომაში მონაწილე წევრებს ერთდროულად შეეძლოთ ერთმანეთის მოსმენა. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა სულ მცირე ნახევარი.

გადაწყვეტილებების მიღება ხდება ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი იქნება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

8.6. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებები:

- კონტროლს უწევს დირექტორატის საქმიანობას;
- ნიშნავს და გამოიწვევს დირექტორებს, დებს და წყვეტს მათთან სასამსახურო ხელშეკრულებას, წარმოადგენს საზოგადოებას დირექტორებთან გარიგებებში და მათ წინააღმდეგ საერთო კრების გადაწყვეტილებით სამართლებრივი დავების წარმართვისას;
- უფლება აქვს დააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნები, ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების სალაროს, ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა. ამისთვის სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია ისარგებლოს მოწვეული ექსპერტების მომსახურებით;
- იწვევს რიგგარეშე საერთო კრებას, თუ ამას საზოგადოების აუცილებლობა მოითხოვს;
- უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დირექტორებისგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე დასწრება;
- განიხილავს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ანგარიშს სამეურნეო საქმიანობის შესახებ, რის შესახებაც, მოახსენებს საერთო კრებას;
- უფლებამოსილია, ხოლო თუ ამას საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს, ვალდებულებულია საკუთარი ინიციატივით შეიტანოს სარჩელი დირექტორების წინააღმდეგ;
- გასცემს ნებართვას დირექტორებისთვის სხვა საწარმოს მმართველ ორგანოებში მონაწილეობაზე;
- განსაზღვრავს აქციონერთა საერთო კრებების ჩატარების თარიღს, ადგილსა და დროს, საერთო კრების სააღრიცხვო თარიღს;
- განიხილავს საერთო კრების დღის წესრიგში აქციონერთა მიერ შემოთავაზებული საკითხების ჩასმის შესაძლებლობას და უარის შემთხვევაში ასაბუთებს ამას, ამტკიცებს საერთო კრების დღის წესრიგს;
- განსაზღვრავს იმ ინფორმაციის სახესა და მოცულობას, რომელიც უნდა წარედგინოს აქციონერებს საერთო კრებისთვის მოსამზადებლად და უზრუნველყოფს დაინტერესებულ აქციონერთათვის დამატებითი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას, განსაზღვრავს ხმის მისაცემი ბიულეტენების ფორმასა და ტექსტს;

8.7. მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

- საწარმოებში წილის შეძენა და გასხვისება;
- უძრავი ქონებისა და მისი მსგავსი უფლებების შეძენა, გასხვისება, დატვირთვა ან იჯარით გაცემა, აგრეთვე წარმოების იჯარით გაცემა ან მისი საქმიანობის შეწყვეტა;
- ფილიალების და შვილობილი საწარმოების შექმნა და ლიკვიდაცია;

- წლიური ბიუჯეტის, საგემო ბალანსისა და მოგება-ზარალის გეგმის, ინვესტიციების გეგმის დამტკიცება;
- ინვესტიციების დაბანდება ან ამოღება;
- სესხებისა და კრედიტების აღება, რომელთა ოდენობა აღემატება ერთ მილიონ ლარს;
- გარიგებების დადება, რომელთა ღირებულება აღემატება სამ მილიონ ლარს (გარიგება შეთანხმებული უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოსთან);
- სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას;
- ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან საქმიანობის არსებული სახის შეწყვეტა;
- სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;
- ნებადართული კაპიტალის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებულ თანხამდე საზოგადოების კაპიტალის გაზრდა;
- გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ;
- ობლიგაციების გამოშვება;
- კანონით სამეთვალყურეო საბჭოზე დაკისრებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.

8.8. დირექტორატის წევრთა დასწრება. სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში დირექტორატის წევრები ესწრებიან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს და სხდომას აწვდიან საბჭოს მიერ მოთხოვნილ ნებისმიერ ინფორმაციას.

8.9. ანაზღაურება და ხარჯები. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურებას განსაზღვრავს აქციონერთა საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო აქციონერთა საერთო კრებას პერიოდულად წარუდგენს წინადადებებს საკუთარი წევრების ანაზღაურებასთან დაკავშირებით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს უნდა აუნაზღაურდეთ სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებული ყველა ზომიერი ხარჯი.

8.10. კომიტეტების შექმნა. სამეთვალყურეო საბჭომ შეიძლება შექმნას კომიტეტები საკუთარი წევრებისგან განსაზღვრული მოვალეობების შესასრულებლად. სამეთვალყურეო საბჭოს აკისრია კოლექტიური პასუხისმგებლობა მისი წევრებისგან შემდგარი კომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და განხორციელებულ ღონისძიებებზე.

8.11. დამოუკიდებელი წევრები. სამეთვალყურეო საბჭოს 1 წევრი მაინც უნდა იყოს დამოუკიდებელი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ ჩაითვლება დამოუკიდებლად, თუ ის, ან მისი პირველი ან მეორე რიგის მემკვიდრე:

- ა) ბოლო 5 წლის მანძილზე იყო საზოგადოების, მისი შვილობილი, დელობილი ან დობილი საზოგადოების დირექტორატის წევრი, ან ეკავა სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა;
- ბ) იღებს საზოგადოებისგან ან მისი შვილობილი, დელობილი ან დობილი საზოგადოებისგან ანაზღაურებას ნებისმიერი ფორმით, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისთვის დადგენილი ანაზღაურებისა;

- გ) პირადად, ან იურიდიულ პირს, რომელშიც ეკუთვნის წილის 10 პროცენტზე მეტი, გააჩნია მნიშვნელოვანი საქმიანი კავშირები საზოგადოებასთან, მათ შორის მიმწოდებლის, მომხმარებლის, კონსულტანტის ან კრედიტორის სახით;
- დ) არის დირექტორი იმ კომპანიისა, რომელშიც წინამდებარე საზოგადოების ერთ-ერთი დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს წევრია;
- ე) ეკუთვნის საზოგადოების სააქციო კაპიტალის 5 პროცენტზე მეტი;
- ვ) არის დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ან წარმომადგენელი კომპანიისა, რომელსაც ეკუთვნის საზოგადოების სააქციო კაპიტალის 10 პროცენტზე მეტი.

8.12. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ მოვალეობებს შესრულების კეთილსინდისიერება. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები თავიანთ მოვალეობებს უნდა ასრულებდნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავენ ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირები და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისთვის.

თავის მოვალეობათა შესრულებისას სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება დაეყრდნოს დასკვნებსა და ანგარიშებს, თუ ისინი მომზადებულია იმ აუდიტორის, იურიდიული მრჩევლის, საწარმოს თანამშრომლის ან სხვა პირის მიერ, რომელიც, მისი კეთილგონივრული მოსაზრებით, პროფესიონალია შესაბამის საკითხში, რადგან ეს საკითხი მის კომპეტენციას განეკუთვნება. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მოქმედება არ ჩაითვლება კეთილსინდისიერად, თუ მას ამ საკითხთან დაკავშირებით აქვს, ან ევალუბოდა, რომ ჰქონოდა ისეთი ინფორმაცია, რომელიც გაუმართლებელს ხდის აღნიშნულ პირებზე დაყრდნობას.

8.13. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებული არიან:

- რეგულარულად დაესწრონ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკითხების განხილვაში;
- მოითხოვონ დღის წესრიგში საკითხის შეტანა და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მოწვევა, როდესაც ეს აუცილებლობას წარმოადგენს;
- არ გაამჟღავნონ კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მათ მიიღეს თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას;
- აქციონერებს დროულად მიაწოდონ ზუსტი და სრული ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობისა და მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
- არ გამოიყენონ პირადი სარგებლის მისაღებად საზოგადოების ქონება და თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას მოპოვებული ინფორმაცია;
- თავი შეიკავონ ისეთ გარიგებებში მონაწილეობისგან, რასაც შეიძლება მოჰყვეს მათი ინტერესების წინააღმდეგობაში მოსვლა საზოგადოების ინტერესებთან (ინტერესთა შეუთავსებლობა);
- ინტერესთა შეუთავსებლობის ნებისმიერი შემთხვევისას განუცხადონ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ამის შესახებ და თავი შეიკავონ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დროს ხმის მიცემისაგან;

მუხლი 9. საერთო კრება

9.1. საერთო კრება. საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საერთო კრება. საერთო კრება შეიძლება იყოს მორიგი და რიგგარეშე. მორიგი საერთო კრება ტარდება ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, არა უგვიანეს სამეურნეო წლის დამთავრებიდან 5 თვისა, და მასზე განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა საკითხები. რიგგარეშე საერთო კრება ტარდება დირექტორების, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ან საწესდებო კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელ აქციონერთა მოთხოვნით.

9.2. საერთო კრების ჩატარების ადგილი. საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის სხვა ისეთ ადგილზე, სადაც მასზე დასწრება აქციონერებისთვის იოლად ხელმისაწვდომი იქნება.

9.3. სააღრიცხვო დღე. სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო თარიღს, რომელიც არ შეიძლება იყოს საერთო კრების მოწვევამდე 45 დღით ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრების სააღრიცხვო თარიღის მდგომარეობით დგება აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლებამოსილ აქციონერთა სია.

9.4. განცხადება კრების მოწვევაზე. საერთო კრება მოიწვევა 20 დღის ვადაში დირექტორების მიერ ბეჭვდით ორგანოში გამოცხადებით ან აქციონერებისათვის მოსაწვევის გაგზავნით.

9.5. საერთო კრების მოწვევა და წარმართვა

საერთო კრება უნდა ჩატარდეს აქციონერებისთვის მოსახერხებელ ადგილზე. კრებაზე:

(ა) დირექტორატი წარადგენს წლიურ ანგარიშს წერილობითი ფორმით კომპანიის და დირექტორატის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ;

(ბ) დასამტკიცებლად წარმოდგენილ უნდა იქნას კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები კანონით მოთხოვნილ ნებისმიერ სხვა ფინანსურ დოკუმენტებთან (“წლიური ანგარიშები”) ერთად;

(გ) მიიღება გადაწყვეტილება მოგების განაწილების შესახებ;

(დ) ინიშნება კომპანიის აუდიტორი; და

(ე) განიხილება დღის წესრიგში შეტანილი ნებისმიერი სხვა საკითხი.

9.6. რიგგარეშე საერთო კრება. რიგგარეშე საერთო კრება ტარდება (ა) გამოშვებული აქციების 5%-ის ან მეტის მფლობელი აქციონერების მიერ წერილობით მოთხოვნის შემთხვევაში ან (ბ) თუ დირექტორატის ან სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრი რიგგარეშე კრების მოწვევას მიიჩნევს საჭიროდ. თუ დი-

რექტორატი არ დაასაბუთებს კრების ჩატარების მიზანშეუწონლობას, ის გადაწყვეტილებას იღებს რიგგარეშე კრების თარიღთან დაკავშირებით აქციონერის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში.

9.7. დრო და შეტყობინების ფორმა. აქციონერებმა, რომლებიც ფლობენ აქციათა ერთ და მეტ პროცენტს შეტყობინება საერთო კრების შესახებ უნდა მიიღონ დაზღვეული წერილის მეშვეობით, ხოლო ყველა სხვა აქციონერებმა შეტყობინება უნდა მიიღონ ერთ ყოველდღიურ სახელმწიფო გაზეთში გამოქვეყნებული განცხადების საშუალებითაც. შეტყობინება უნდა გამოქვეყნდეს კრების თარიღამდე არანაკლებ ოცი დღით ადრე, იმ ბეჭდვით ორგანოში, რომელიც შერჩეულია ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ.

9.8. შეტყობინების შინაარსი. საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადება შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- საერთო კრების მოწვევის ადგილი, თარიღი და დრო;
- სააღრიცხვო დღის თარიღი;
- საერთო კრების სახეობა;
- დღის წესრიგი;
- დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად;
- საწარმოს წესდებაში შესაძლო ცვლილებები;
- იმ პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც კრების ჩატარებამდე ათი დღის განმავლობაში აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება;
- თუ საერთო კრებაზე უნდა მოხდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა, მონაცემები კანდიდატების შესახებ;

კრებაზე იურიდიული ძალის მქონე გადაწყვეტილებების მიღება არ იქნება შესაძლებელი იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ ყოფილა დღის წესრიგში შეტანილი შეტყობინებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრებაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება ერთხმად.

9.10. აქციონერთა წინადადებები. საწესდებო კაპიტალის სულ ცოტა 1%-ის მფლობელი აქციონერები უფლებამოსილი არიან დღის წესრიგში შეიტანონ ერთი საკითხი, იმ პირობით, რომ წინადადებას დაზღვეული წერილით გაუგზავნიან დირექტორატს მათ მფლობელობაში არსებული აქციების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად. აღნიშნული მოთხოვნა უნდა დადგეს საერთო კრების მოწვევამდე ათი დღით ადრე. თუ აღნიშნული წინადადება დირექტორატს ან სამეთვალყურეო საბჭოს მიეწოდება დროულად, ისე, რომ შესაძლებელია დირექტორატის მიერ აღნიშნული საკითხის შემდეგი კრების დღის წესრიგში და ნებისმიერ შეტყობინებაში შეტანა, დირექტორატი და სამეთვალყურეო საბჭო ვალდებული არიან აღნიშნული განახორციელონ, თუ დირექტორატის ან სამეთვალყურეო საბჭოს დასაბუთებული აზრით, წამოჭრილი საკითხი არ ეწინააღმდეგება კომპანიის არსებით ინტერესს.

9.11. მონაწილეობა კრებაზე. აქციონერი კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებს პირადობის მოწმობისა და კრებაზე წარმოდგენილი აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე. წარმომადგენლობა დასაშვებია წერილობითი მინდობილობის საფუძველზე. თითოეულ აქციონერს უფლება აქვს კრებაზე სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან მოითხოვოს ახსნა-განმარტება დღის წესრიგის ნებისმიერ პუნქტთან, ან ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რაც აუცილებელია ასეთ კრებაზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად.

საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის ნახევარის მფლობელები მაინც. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იგივე პროცედურების დაცვით და იგივე დღის წესრიგით მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე კაპიტალის არანაკლებ 25 პროცენტის მფლობელებისა.

9.12. კენჭისყრა აქციონერთა მიერ

(ა) აქციონერებს აქვთ საერთო კრებაზე დასწრების, ხმის მიცემის და სიტყვით გამოსვლის უფლება.

(ბ) ერთი აქცია აქციონერს ანიჭებს ერთი ხმის უფლებას საერთო კრებაზე. ამგვარად აქციონერს იმდენი ხმის უფლება აქვს რამდენი აქციაც გააჩნია.

(გ) გადაწყვეტილებების მიღება ხდება ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუ ხმების უფრო დიდი უმრავლესობა არ არის განსაზღვრული კანონის, ან ამ წესდების მიხედვით;

(დ) აქციონერს საერთო კრებაზე შეიძლება წარმოადგენდეს რწმუნებული წერილობითი მინდობილობის საფუძველზე;

(ე) აქციონერს არ აქვს უფლება, ხმა მისცეს ნებისმიერ გარიგებას, ან ანგარიშს, რომელშიც მეორე მხარეს აქციონერი, აქციონერის ოჯახის წევრი ან ნებისმიერი იურიდიული პირი წარმოადგენს, რომელშიც აქციონერის ან მისი ოჯახის წევრის წილი 20%-ს აღემატება.

9.12.1. შემდეგ გადაწყვეტილებებს საერთო კრება იღებს ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის უბრალო უმრავლესობით:

- აუდიტორისა და სპეციალური კონტროლიორის არჩევა;
- დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების დამტკიცება;
- გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ;
- გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შექმნის, გასხვისების, ან გაცვლის გარიგებების შესახებ, რომელთა ღირებულებაც შეადგენს საზოგადოების აქტივების (საბალანსო) ღირებულების ნახევარზე მეტს;
- გადაწყვეტილება შერწყმის, გაყოფის ან გარდაქმნის შესახებ;

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურების საკითხის დადგენა.

9.12.2. შემდეგ გადაწყვეტილებებს საერთო კრება იღებს ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 2/3-ზე მეტის შესაბამისი აქციების მფლობელთა ხმებით:

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გამოწვევა;
- ცვლილებები საზოგადოების წესდებაში, კერძოდ, საწესდებო კაპიტალში, საფირმო სახელწოდებასა და საზოგადოების საქმიანობის საგანში;
- გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ;

9.12.3. შემდეგ გადაწყვეტილებებს საერთო კრება იღებს ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 3/4-ზე მეტის შესაბამისი აქციების მფლობელთა ხმებით:

- მიღება ან უარყოფა სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა მიერ წარდგენილი წინადადებისა მოგების გამოყენების შესახებ, ხოლო როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
- გადაწყვეტილება აქციონერთა მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების შესახებ საწესდებო კაპიტალის მომატების დროს, ასევე აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას;

9.13. კრების თავმჯდომარე. საერთო კრებას თავმჯდომარეობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - თავმჯდომარის მოადგილე. ამ უკანასკნელის არყოფნის შემთხვევაში კრების თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ან მოადგილე.

9.14. ოქმები. თითოეული საერთო კრებისათვის ოქმები უნდა მომზადდეს ნოტარიუსის მიერ. ოქმს ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე და ოქმის შემდგენი. ოქმი ინახება კომპანიის ჩანაწერებთან ერთად.

მუხლი 10. ფინანსური წელი, წლიური ანგარიშები

10.1. ფინანსური წელი. ფინანსური წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

10.2. ფინანსური და წლიური ანგარიშები. თითოეული ფინანსური წლის დამთავრებიდან სამი თვის განმავლობაში დირექტორატი (ფინანსური დირექტორი) ამზადებს კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებს და წლიურ ანგარიშს საერთო კრებისა და ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიისათვის. წლიური ფინანსური ანგარიშგებები ხელმოწერილი უნდა იყოს დირექტორატის და სამეთვალყურეო საბ-

ჭოს ყველა წევრის მიერ. თუ ერთი, ან რამდენიმე მათგანის ხელმოწერა არ არის წარმოდგენილი, მიზეზი განმარტებული უნდა იქნას წლიურ ანგარიშში.

აქციონერთა ყოველწლიურ საერთო კრებაზე წარსაგენი წლიური ანგარიში ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წლიური ანგარიშის მონაცემების გარდა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკების მიმოხილვა და მათ აღმოსაფხვრელად მიღებული ღონისძიებები;
- იმ მსხვილი გარიგებების სია, რომლებიც საზოგადოების მიერ იქნა დადებული სამეურნეო წლის განმავლობაში, ამ გარიგებათა ძირითადი პირობების და იმ ორგანოების ჩათვლით, რომლებმაც ისინი დაამტკიცა;
- იმ გარიგებათა სია, რომლებშიც ღირეპტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს გააჩნდათ პირადი დაინტერესება, ამ გარიგებათა ძირითადი პირობების და იმ ორგანოების ჩათვლით, რომლებმაც ისინი დაამტკიცა;
- ანგარიში გამოცხადებული დივიდენდების გაცემის თაობაზე.

10.3. აქციონერებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნებიდან კრების დასრულებამდე წლიური ფინანსური ანგარიშგებები, წლიური ანგარიში, გარე აუდიტორის ანგარიში და ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს კომპანიის ოფისში აქციონერთა მიერ შესამოწმებლად.

10.4. სპეციალური შემოწმება. აქციების 5%-ის ან მეტის მფლობელმა აქციონერებმა შეიძლება მოითხოვონ კომპანიის საქმიანობის, წლიური ფინანსური ანგარიშების სპეციალური შემოწმება, თუ, მათი აზრით, ადგილი აქვს კანონის, ამ წესდების, ან ნებისმიერი დებულების დარღვევას. ასეთი შემოწმების ხარჯები ეკისრება კომპანიას.

მუხლი 11. გარე აუდიტორი.

საერთო კრებაზე აქციონერები ნიშნავენ აუდიტორს.

11.1. აუდიტორის დამოუკიდებლობა. აქციონერთა საერთო კრება სამეთვალყურეო საბჭოს წინადადებით ყოველწლიურად ირჩევს აუდიტორს, რომელიც საზოგადოებისაგან, მისი პარტნიორებისაგან და ღირეპტორებისაგან სამართლებლივად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი უნდა იყოს.

11.2. აუდიტი მოიცავს ანგარიშგების, წლიური ანგარიშის და საქმის წარმოების პრაქტიკის შემოწმებას. ყოველგვარი საგანგებო შემთხვევის შესახებ, განსაკუთრებით, სხვა საზოგადოებებთან საქმიანი ურთიერთობების მდგომარეობის თაობაზე ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს პარტნიორებს.

11.3. ჩვეულებრივი წლიური ანგარიში უნდა შემოწმდეს რევიზიის აქტით. რევიზიის აქტიდან უნდა ჩანდეს, რომ სავალდებულო რევიზია ჩატარებულია საზოგადოების წიგნებისა და ჩანაწერების საფუძველზე, ასევე ღირეპტორის მიერ გაცემული განმარტებებისა და მტკიცებულებების, წლიური ანგარიშისა და სამეურნეო საქმიანობის ანგარიშის საფუძველზე. აუდიტორმა (აუდიტორებმა) რევიზიის აქტში უნდა მიუთითოს შემოწმების ადგილი და ღლე.

11.4. არ შეიძლება ერთი და იგივე აუდიტორის არჩევა ზედიზედ სამ წელზე მეტჯერ.

11.5. დირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და სხვა თანამდებობის პირები ვალდებული არიან ყოველმხრივად შეუწყონ ხელი აუდიტორის საქმიანობას და მიაწოდონ მას ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია, მისცენ ახსნა-განმარტებები.

მუხლი 12. დივიდენდები; მოგება და ზარალი

12.1. ზოგადი ნაწილი. აქციონერები საკუთარი წილის პროპორციულად იღებენ დივიდენდებს.

12.2. დივიდენდები. კომპანიამ აქციონერებს შეიძლება დივიდენდები გადაუხადოს მხოლოდ იმ ოდენობით, რომლითაც კომპანიის აკუმულირებული რეალიზებული მოგება (რომელიც უკვე არ არის კაპიტალიზებული, ან გამოყენებული დივიდენდებისათვის) აღემატება აკუმულირებულ რეალიზებულ ხარჯებს (რომლებიც ჯერ არ არის ჩამოწერილი). დირექტორატი სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით წინადადებას წარუდგენს ყოველწლიურ საერთო კრებას გადაწყვეტილების მისაღებად, თუ მოგების რომელი ნაწილი იქნას გადახდილი დივიდენდების სახით. დივიდენდების გადახდა (12.4 პუნქტში გათვალისწინებულის გარდა) უნდა მოხდეს ნაღდი ფულით.

12.3. დივიდენდების გაცხადება. საერთო კრებაზე აქციონერებმა შეიძლება ხმა მისცენ დივიდენდების გაცემას არსებული მთლიანი მოგებიდან, ან მისი ნაწილიდან.

12.4. დივიდენდები აქციებზე. დირექტორატმა სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება გადაწყვიტოს, ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდები გადახდილ იქნას ჩვეულებრივი აქციების ფორმით, რამდენადაც დირექტორატს გააჩნია ასეთი აქციების გამოშვების უფლება ამ წესდების მე-4 მუხლის თანახმად.

მუხლი 13. წესდების ცვლილება

13.1. გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება წესდებაში ცვლილების შეტანის, შესახებ მიღებულ უნდა იქნას აქციონერთა საერთო კრებაზე დამსწრე კაპიტალის სამ მეოთხედზე მეტით.

13.2. შეტყობინება კრების შესახებ. ამ მუხლში აღნიშნულ შეტყობინებაში კრების მოწვევის შესახებ აღნიშნული უნდა იყოს, რომ დღის წესრიგში შეტანილია წინადადება წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც შეიცავს წესდების ცვლილების ასლს (ნებისმიერი ასეთი ცვლილების სრული ტექსტის ჩათვლით).

მუხლი 14. ლიკვიდაცია

14.1. დირექტორატის მიერ ლიკვიდაციის განხორციელება. თუ აქციონერების ან კანონის მიერ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად კომპანიის ლიკვიდაციის შემთხვევაში, ლიკვიდაცია ხორციელდება დირექტორატის მიერ, სამეთვალყურეო საბჭოს ზედამხედველობის ქვეშ.

14.2. ლიკვიდატორების ანაზღაურება. საერთო კრება განსაზღვრავს ლიკვიდატორების და ლიკვიდაციის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირების ანაზღაურებას.

14.3. ლიკვიდაციის განხორციელება. ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. კომპანიის აქტივების ნაშთი ყველა ვალის და ლიკვიდაციის ხარჯის გასტუმრების შემდეგ იყოფა ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს შორის მათ მფლობელობაში არსებული ჩვეულებრივი აქციების ნომინალური ოდენობის პროპორციულად.

14.4. საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები. კომპანიის საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები რჩება ლიკვიდატორთან კომპანიის ლიკვიდაციის დასრულებიდან ათი წლის განმავლობაში.

მუხლი 15. ნაწილობრივი ბათილობა.

თუ ამ წესდების ერთი ან რამდენიმე პუნქტი არის, ან გახდება ბათილი, ეს გავლენას არ იქონიებს მთლიანად წესდების ნამდვილობაზე.

მუხლი 16. დასკვნითი დებულება

წინამდებარე წესდება, ასევე მასში ცვლილებები ძალაში შედის აქციონერთა საერთო კრების მიერ მისი დამტკიცებისა და სამეწარმეო რეესტრში გატარების შემდეგ.